ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N01/11

<u>პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავებისა და მართვის პროგრამა</u>

გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი **6 იანვარი 2014 წელი**

ერთის მხრივ,
სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის - **გრიგოლ გიორგაძის** სახით,
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #42,
საიდენტიფიკაციო კოდი: #204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ა/ა # 200122900;
(შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ,
სსიპ - „სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტო"
წარმოდგენილი დირექტორის - **ლევან ჭურაძის** სახით
მის: ქ. თბილისი 9 აპრილის ქუჩა 2.
საიდენტიფიკაციო კოდი: 204429494
საბანკო რეკვიზიტები: სს „ ბანკი რესპუბლიკა";
IBAN: GE96BR0000000034083618
(შემდგომში „მიმწოდებელი")

<u>„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:</u>

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე «მიმწოდებელი (შემსრულებელი)» ახორციელებს «შემსყიდველის (აბონენტი)» სპეცკავშირების სიტემით საკომუნიკაციო მომსახურებას. შესყიდვის ობიექტის რაოდენობა, ერთეულის ფასი და ტექნიკური აღწერილობა მოცემულია **ფასების ცხრილში - დანართი N1-ში და დანართი N2-ში;**

1.2 **CPV კოდი: 64214000 - გამოყოფილი/სპეციალური სატელეფონო ქსელის მომსახურება**

2. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1 "ხელშეკრულება სახემწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში-"ხელშეკრულება")- შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

2.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია - აბონენტი" (შემდგომში „აბონენტი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.4 "მიმწოდებელი- შემრულებელი" (შემდგომში „შემსრულებელი") ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუზველზე, უწევს მომსახურებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

2.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

3. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

3.1 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი, რათა დარწმუნდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა შენიშვნის აღმოფხვრა.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

3.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი დავით მიქაძე.

4. **მომსახურების გაწევის პირობები**

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან უზრუნველყოს შემსყიდველისათვის მომსახურების გაწევის დაწყება საკუთარი ხარჯებით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი მომსახურება.

4.3 მომსახურება გაწეულ უნდა იქნეს **ხელშეკრულების** გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.4 წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე «შემსრულებელი» ახორციელებს «აბონენტის» სპეცკავშირების სისტემით მომსახურებას, ხოლო სატელეფონო ნომრების დამატებით ჩართვის მოთხოვნის შემთხვევაში მხარეთა შორის შეთანხმების გაფორმებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა რთავს დამატებით ნომრებს სპეცკავშირების მომსახურების ქსელში.

4.5 „აბონენტისათვის" სპეცკავშირების სისტემით მომსახურება მოიცავს:

აბონენტი A ზარის წამომწყები ან/და ინიციატორი	აბონენტი B ზარის მიმღები	დაკავშირების მეთოდი	დაკავშირების რეჟიმი	შენიშვნა
სპეცკავშირების სატელეფონო ქსელის აბონენტი -	სპეცკავშირების სატელეფონო ქსელის აბონენტი	ავტომატური ან კომუტატორის მეშვეობით შეერთება	დახურული	სპეცკავშირების სისტემის შიგნით სააბონენტო ღირებულების ფარგლებში
სპეცკავშირების სატელეფონო ქსელის აბონენტი	სპეცკავშირების სატელეფონო ქსელის გარე (სხვა სატელეკომუნიკაციო ქსელის, როგორც ფიქსირებული, ასევე მობილური) აბონენტი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ	ავტომატური ან კომუტატორის მეშვეობით შეერთება	ღია	„აბონენტი A"-ს ინიციატივით სპეცკავშირების კომუტატორის მეშვეობით სპეცკავშირების ქსელის გარეთ განხორციელებული ზარი ექვემდებარება ანაზღაურებას დანართი N2ში მითითებული ტარიფის შესაბამისად
სპეცკავშირების სისტემით მონაცემთა გადაცემის ქსელის აბონენტი	სპეცკავშირების სისტემით მონაცემთა გადაცემის ქსელის აბონენტი	ავტომატური შეერთება	დახურული	მხოლოდ სპეცკავშირების სისტემის მონაცემთა გადაცემის ქსელის შიგნით (სააბონენტო ღირებულების ფარგლებში)

4.6 კომუტატორის მეშვეობით შეერთება (დაკავშირება) ხორციელდება, მხოლოდ უმაღლესი და პირველი კატეგორიის აბონენტებისათვის.

4.7 მხარეები შეთანხმდნენ, რომ ყველა პრეტენზია დაკავშირებული წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან «აბონენტის» მიერ «შემსრულებლისათვის» წარდგენილი იქნება მხოლოდ წერილობით. წინააღმდეგ შემთხვევაში «შემსრულებელი» მის მიერ გაწეულ მომსახურებას განიხილავს უნაკლოდ.

5. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1 მომსახურების მიღებას აწარმოებს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი დავით მიქაძე.

5.2 მომსახურების მიღება ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. (გამარტივებული ანგარიშფ–აქტურის გამოწერით.)

6. **ანგარიშსწორება**

6.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს - **3 000,00 (სამი ათასი) ლარს;**

6.2 დაფინსების წყარო: 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

6.3 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით „შემსრულებლის" მიერ წარდგენილი საგადასახადო ანგარშიფაქტურის საფუძველზე.

6.4 "აბონენტი" სპეცკავშირის სისტემით მომსახურების მიზნით იხდის სააბონენტო და წუთობრივ დავალიანებას ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად (მათ შორის, ზარის ღირებულებას, რომელიც წარმოქმნილია საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 23 აგვისტოს N670-ე ბრძანებულებით განსაზღვრული უმაღლესი და პირველი კატეგორიის აბონენტების, სპეცკავშირების სისტემის კომუტატორის მეშვეობით სისტემის ქსელის გარეთ დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, სპეცკავშირის ფიქსირებულ ნომერზე აბონენტს აქვს თუ არა გააქტიურებული ფასიან ზარზე გასვლა), სააბონენტო გადასახადის საფასურს დანართი 1-ში აღნიშნული თანხის ოდენობით, ხოლო ფიქსირებული ქსელის (თბილისის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში), მობილურ, საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ზარებზე წუთობრივ გადასახადს იხდის დანართი 2-ში აღნიშნული ტარიფის მიხედვით.

6.5 წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, საბილინგო მონაცემებზე დაყრდნობით ზარების დეტალური ინფორმაცია „აბონენტს" წარედგინება ანგარიშფაქტურასთან ერთად.

6.6 მხარეები თანხმდებიან, რომ სააბონენტო გადასახადის დარიცხვისათვის ფაქტიურად გაწეულ მომსახურებად განიხილება ის შემთხვევაც, როდესაც სისტემის ტელეფონი ჩართულია სპეცკავშირების სისტემის ქსელში, მიუხედავად იმისა, „აბონენტი" უშუალოდ სარგებლობს თუ არა ამ მომსახურებით.

7. **მხარეთა ვალდებულებანი.**

7.1 «შემსრულებელი» ვალდებულია:

- უზრუნველყოს «აბონენტი» საიმედო, უსაფრთხო და ოპერატიული კავშირით;
- უზრუნველყოს სპეცკავშირის განხორციელებისათვის აუცილებელი ქსელების, არხებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების გამართული მუშაობა, გარდა „აბონენტისა" და მესამე პირების საკუთრებაში არსებული საშუალებებისა;
- ოპერატიულად (შესაძლო მოკლე ვადაში) მოახდინოს სპეცკავშირის განხორციელებისათვის აუცილებელი ქსელების, არხებისა და სხვა ტექნიკური საშუალებების დაზიანების აღმოფხვრა, გარდა მესამე პირების საკუთრებაში არსებული საშუალებებისა.
- „აბონენტს" ყველი თვის 5 რიცხვამდე წარუდგინოს საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა გასულ თვეში გაწეული მომსახურების შესახებ. საგადასახადო კვარტლის დასრულების შემდეგ, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე აბონენტს წარუდგინოს შედარების აქტი გაწეული მომსახურებისა და აბონენტის მხრიდან ფინანსური ანგარიშსწორების შესახებ, ხოლო საგადასახადო წლის დასრულების შემდეგ მთლიანი წლის შედარების აქტი მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ.
- წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, საბილინგო მონაცემებზე დაყრდნობით წარუდგინოს „აბონენტს" განხორციელებული ზარების დეტალური ინფორმაცია ანგარიშფაქტურასთან ერთად.

«აბონენტი» ვალდებულია:

- უზრუნველყოს «შემსრულებლის» თანამშრომელთა შეუფერხებელი დაშვება იმ ობიექტებზე, რომელიც გამოიყენება ამ ხელშეკრულების პირველი პუნქტით განსაზღვრული საგნის შესრულებისას;
- მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით ხელი შეუწყოს "შემსრულებელს" ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში. მათ შორის უზრუნველყოს „აბონენტის" მფლობელობაში არსებული სპეცკავშირების სისტემის აპარატურისათვის საერთაშორისო ქსელის „ინტერნეტისა" (არანაკლებ 512 მბ/წმ) და უწყვეტი ელ. ენერგიის მიწოდება UPS წყაროდან.
- ამ ხელშეკრულების მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესითა და პირობები შემსრულებლის მიერ წარდგენილი საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე სპეცკავშირის სისტემით

მომსახურებისთვის ყოველი საანგარიშო თვის 10 რიცხვამდე შემსრულებლის ანგარიშზე გადაიხადოს მისთვის გასულ თვეში გაწეული მომსახურების გადასახადი, შემდგომში მოხსენიებული როგორც «დავალიანება».

- «აბონენტი» ვალდებულია შემსრულებლს» გადაუხადოს 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 6 იანვრამდე ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება.
- აბონენტს უფლება აქვს გადაიხადოს ფიქსირებული ქსელის (თბილისის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში) მიმართულებით ფაქტობრივად განხორციელებული ზარების მომსახურების ღირებულება ან ყოველთვიურად ფიქსირებული გადასახადი ერთ სატელეფონო ნომერზე 20 (ოცი) ლარი. ხოლო აღნიშნულის შესახებ, ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე წერილობით აცნობოს „შემსრულებელს", რომელიც განიხილება მოცემულ საკითხზე მხარეთა შორის შეთანხმებად.
- შემსრულებლის მიერ შედარების აქტის წარდგენიდან 3 სამუშაო დღეში უზრუნველყოს მისი ხელმოწერა, ხოლო უარის თქმის შემთხვევაში, სათანადო მიზეზის მითითებით, ამავე ვადაში აცნობოს შემსრულებელს წერილობით.
- საჭიროების შემთხვევაში შეუფერხებლად და უპირატესად გამოუყოს "შემსრულებელს" მის სარგებლობაში მყოფი ქსელები, არხები და სპეცკავშირის განხორციელებისათვის საჭირო სხვა ტექნიკური საშუალებები.
- უზრუნველყოს მიღება - ჩაბარების აქტით გადაცემული სატელეფონო აპარატურისა და სხვა ტექნიკური საშუალებების შენახვა, მათ შორის ლუქების დაცულობა.
- აანაზღაუროს ყველა ის ზარალი, რომელიც საკუთარი მიზეზით მიადგა «შემსრულებლის» კუთვნილ ტექნიკურ საშუალებებს;
- უზრუნველყოს მის საკუთრებაში არსებული სპეცკავშირის სისტემის დაზიანებული აპარატურის შეცვლასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, შემსრულებლისათვის.
- «შემსრულებლის» თანხმობის გარეშე არ გადაიტანოს სპეცკავშირის სისტემის სატელეფონო ნომერი სხვაგან, აგრეთვე არ ჩართოს პარალელურად სხვა აპარატი, არ დაუშვას მონაცემთა გადაცემის ან სხვა მოწყობილობების თვითნებური ჩართვა ქსელში.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელი მხარე დაზარალებულ მხარეს უნაზღაურებს მიყენებულ ზარალს საბაზრო ფასების გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 «შემსრულებელი» უფლებამოსილია «აბონენტს» დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში შეუწყვიტოს მომსახურება, «შემსრულებელის» მიერ მისთვის მომსახურების შეწყვეტიდან 30 დღის შემდეგ მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება, გამორთოს «აბონენტი» სპეცკავშირის სისტემით მომსახურების ქსელიდან და მიიღოს ზომები დავალიანების ამოსაღებად;

8.3 მიყენებული ზიანისთვის საზღაურის გაცემის და/ან დავალიანების გადახდის შეჩერების შემთხვევაში "შემსრულებელი" უფლებამოსილია "აბონენტს" გადაახდევინოს საურავის სახით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის გადასახდელი თანხის 0,1 პროცენტი.

8.4 «შემსრულებელი» საკუთარი ხარჯებითაა პასუხისმგებელი სპეცკავშირის განხორციელებისათვის საჭირო მოწყობილობების დაზიანებაზე იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ასეთი დაზიანება არ არის გამოწვეული «აბონენტის» მიზეზით.

9. უფლებების გადაცემა

9.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.2 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ს.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

11.1.1 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ან მისი ნაწილისა;

11.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.3.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.3.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.3.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების ენა

14.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 ეგზემპლიარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

15. შეტყობინება

15.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

17.2 ხელშეკრულების გაუქმება დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

17.3 ნებისმიერი მხარე, რომელიც აპირებს ხელშეკრულებიდან გასვლას, ვალდებულია წერილობით 1 (ერთი) თვით ადრე აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

17.4 ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლა დასაშვებია ერთ-ერთი მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სისტემატიური შეუსრულებლობისას. სისტემატურად ჩაითვლება 2 თვის ვადით ვალდებულების შეუსრულებლობა.

17.5 ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მხარეები წარმოადგენენ ურთიერთანგარიშსწორების საბოლოო ოქმს. ქსელში ჩართვის საფასური «აბონენტს» არ უბრუნდება.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	სსიპ - „სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტო“
გრიგოლ გიორგაძე	ლევან ჭურაძე

ინფორმაცია აბონენტის სპეციალური კავშირების ნომრების შესახებ, სააბონენტო გადასახადი და მომსახურებათა ჩამონათვალი:

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

	ნომერი	აბონენტი (სახელი, გვარი)	მომსახურება		
			აპარატის ტიპი	ფასი	ფასიანიზარის ლიმიტები დღგ–ს ჩათვლით
1	1019		IP	70.80	შეზღუდული
2	1114		IP	70.80	შეზღუდული
3	1115		IP	70.80	შეზღუდული
4	1116		IP	70.80	შეზღუდული

შემსყიდველი:

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

გრიგოლ გიორგაძე

მიმწოდებელი:

სსიპ - „სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტო“

ლევან ჭურაძე

ფასიანი ზარების ტარიფები სახელისუფლებო სპეციალური კავშირების აბონენტებისათვის

N	ზონა, ქვეყნები და მიმართულებები	ღირებულება ლ/წთ
1	*2*	*3*
1.	ალბანეთი	0,35
2.	ალბანეთი (მობ)	0,51
3.	ანდორა	0,29
4.	ანდორა (მობ)	0,55
5.	არგენტინა	0,51
6.	არგენტინა (მობ)	0,82
7.	სომხეთი	0,35
8.	სომხეთი (მობ)	0,5
9.	ავსტრალია	0,3
10.	ავსტრალია (მობ)	0,52
11.	ავსტრია	0,23
12.	ავსტრია (მობ)	0,55
13.	აზერბაიჯანი	0,4
14.	აზერბაიჯანი (მობ)	0,52
15.	ბელორუსი	0,55
16.	ბელორუსი (მობ)	0,62
17.	ბელგია	0,23
18.	ბელგია (მობ)	0,62
19.	ბოსნია ჰერცოგოვინა	0,4
20.	ბოსნია ჰერცოგოვინა (მობ)	0.6
21.	ბულგარეთი	0,3
22.	ბულგარეთი (მობ)	0,81
23.	ჩადი	0,81
24.	ჩადი (მობ)	0,81
25.	ჩილე	0,6
26.	ჩილე (მობ)	0,81
27.	ჩინეთი	0,3
28.	ჩინეთი (მობ)	0,4
29.	კოლუმბია	0,51
30.	კოლუმბია (მობ)	0,81
31.	კოსტარიკა	0,51
32.	კოსტარიკა (მობ)	0,81
33.	ხორვატია	0,3
34.	ხორვატია (მობ)	0,51
35.	კუბა	3
36.	კუბა (მობ)	3,5
37.	კვიპროსი	0,3
38.	კვიპროსი (მობ)	0,42
39.	ჩეხეთი	0,24
40.	ჩეხეთი (მობ)	0,47
41.	დანია	0,22
42.	დანია (მობ)	0,54
43.	ეკვადორი	0,51
44.	ეკვადორი (მობ)	0,81
45.	ეგვიპტე	0,52
46.	ეგვიპტე (მობ)	0,81
47.	ესტონეთი	0,24

1	2	3
48.	ესტონეთი (მობ)	0,81
49.	ეთიოპია	0,81
50.	ეთიოპია (მობ)	0,81
51.	ფინეთი	0,24
52.	ფინეთი (მობ)	0,51
53.	საფრანგეთი	0,24
54.	საფრანგეთი (მობ)	0,47
55.	გერმანია	0,23
56.	გერმანია (მობ)	0,62
57.	გიბრალტარი	0,3
58.	გიბრალტარი (მობ)	0,55
59.	საბერძნეთი	0,22
60.	საბერძნეთი (მობ)	0,58
61.	ჰონგ კონგ	0,3
62.	ჰონგ კონგ (მობ)	0,51
63.	ისლანდია	0,3
64.	ისლანდია (მობ)	0,55
65.	ინდოეთი	0,51
66.	ინდოეთი (მობ)	0,51
67.	ინდონეზია	0,81
68.	ინდონეზია (მობ)	0,81
69.	ირანი	0,42
70.	ირანი (მობ)	0,51
71.	ირლანდია	0,22
72.	ირლანდია (მობ)	0,51
73.	ისრაელი	0,22
74.	ისრაელი (მობ)	0,41
75.	იტალია	0,22
76.	იტალია (მობ)	0,62
77.	იაპონია	0,3
78.	იაპონია (მობ)	0,51
79.	იორდანია	0,51
80.	იორდანია (მობ)	0,81
81.	ყაზახეთი	0,35
82.	ყაზახეთი (მობ)	0,43
83.	კუვეითი	0,51
84.	კუვეითი (მობ)	0,81
85.	ყირგიზეთი	0,34
86.	ყირგიზეთი (მობ)	0,51
87.	ლატვია	0,3
88.	ლატვია (მობ)	0,52
89.	ლიბანი	0,81
90.	ლიბანი (მობ)	0,81
91.	ლიბერია	0,81
92.	ლიბერია (მობ)	0,81
93.	ლიხტენშტეინი	0,26
94.	ლიხტენშტეინი (მობ)	0,9
95.	ლიტვა	0,3
96.	ლიტვა (მობ)	0,46
97.	ლუქსემბურგი	0,23
98.	ლუქსემბურგი (მობ)	0,58

1	2	3
99.	მაკედონია	0,34
100.	მაკედონია (მობ)	0,58
101.	მალტის რესპუბლიკა	0,51
102.	მალტის რესპუბლიკა (მობ)	0,62
103.	მოლდოვეთი	0,36
104.	მოლდოვეთი (მობ)	0,52
105.	მონაკო	0,3
106.	მონაკო (მობ)	0,81
107.	ბირმა	0,81
108.	ბირმა (მობ)	0,81
109.	ნიდერლანდი	0,22
110.	ნიდერლანდი (მობ)	0,58
111.	ახალი ზელანდია	0,3
112.	ახალი ზელანდია (მობ)	0,55
113.	ნორვეგია	0,3
114.	ნორვეგია (მობ)	0,51
115.	პაპუა ახალი გვინეა	2,1
116.	პაპუა ახალი გვინეა (მობ)	2,1
117.	პოლონეთი	0,22
118.	პოლონეთი (მობ)	0,55
119.	პორტუგალია	0,23
120.	პორტუგალია (მობ)	0,58
121.	კატარი	0,58
122.	კატარი (მობ)	0,81
123.	რუმინეთი	0,34
124.	რუმინეთი (მობ)	0,58
125.	რუსეთი	0,26
126.	რუსეთი (მობ)	0,22
127.	რუსეთი – მოსკოვი	0,17
128.	რუსეთი – სანკტ პეტერბურგი	0,17
129.	სან მარინო	0,3
130.	სან მარინო (მობ)	0,51
131.	სერბეთი-მონტენეგრო	0,34
132.	სერბეთი-მონტენეგრო (მობ)	0,56
133.	სინგაპური	0,3
134.	სინგაპური (მობ)	0,51
135.	სლოვაკეთი	0,32
136.	სლოვაკეთი (მობ)	0,54
137.	სლოვენია	0,3
138.	სლოვენია (მობ)	0,81
139.	ესპანეთი	0,22
140.	ესპანეთი (მობ)	0,62
141.	შვედეთი	0,22
142.	შვედეთი (მობ)	0,54
143.	შვეიცარია	0,22
144.	შვეიცარია (მობ)	0,81
145.	სირია	0,81
146.	სირია (მობ)	0,81
147.	ტაივანი	0,3
148.	ტაივანი (მობ)	0,51
149.	ტაჯიკეთი	0,4

1	2	3
150.	ტაჯიკეთი (მობ)	0,51
151.	თურქეთი	0,26
152.	თურქეთი (მობ)	0,52
153.	თურქმენეთი	0,4
154.	თურქმენეთი (მობ)	0,51
155.	უკრაინა	0,38
156.	უკრაინა (მობ)	0,44
157.	არაბეთის საემიროები	0,62
158.	არაბეთის საემიროები (მობ)	0,62
159.	დიდი ბრიტანეთი	0,2
160.	დიდი ბრიტანეთი (მობ)	0,51
161.	აშშ/კანადა	0,22
162.	უზბეკეთი	0,34
163.	უზბეკეთი (მობ)	0,41
164.	ვენესუელა	0,81
165.	ვენესუელა (მობ)	0,81
166.	ზიმბაბვე	0,81
167.	ზიმბაბვე (მობ)	0,81
168.	ინმარსატ	17
169.	ირიდიუმი	14
170.	ანტარქტიდა	9
171.	დანარჩენი სხვა	2
172.	საქართველოს მობილური ოპერატორები (მაგთი, ჯეოსელი)	0,15 /0,08
173.	საქართველოს მობილური ოპერატორები (ბილაინი)	0,23
174.	საქართველოს რაიონები	0,2
175.	ფიქსირებული ქსელი (თბილისისა და ბათუმის ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში)	0,02

შემსყიდველი:

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

გრიგოლ გიორგაძე

მიმწოდებელი:

სსიპ - „სახელისუფლებო სპეციალური კავშირების სააგენტო“

ლევან ჭურაძე